ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2461028

ნომერი: AR1381396

თარიღი : 25.02.2016

გაცემის თარიღი : 01.03.2016

გაცნობის თარიღი : 01.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , (ნაკვეთი 08/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბარათაშვილი პ/ნ 01005026964
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთელის გამზირი, N 87, ბინა 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1.მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"-ს ველში მითითებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი მთლიანად ათვისებულია შებობა-ნაგებობით, რაც შეუსაბამობაში მოდის არსებული სიტუაციის ფოტოსურათსა და ფოტომონტჟთან, აღნიშნული მოიყვანეთ ურთიერთშესაბამისობაში და რუკის ცვლილების ღილაკის გამოყენებით სწორად მიუთითეთ სარეკლამო აბრის განთავსებისთვის სერჩეული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა.

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის სხვადასხვა ხედიდადნ გადაღებული ფოტოსურათები (დაუმუშავებელი).

3.არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი: დაკორექტირდეს საჭიროებისამებრ.

4.ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: საკორექტირდეს საჭიროებისამებრ.

5."დამატებითი დოკუმენტაცია"-ს ველში ატვირთეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა სარეკლამო აბრის დატანით.

6. გაითვალისწინეთ, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე სარეკლამო აბრის განთავსება საჭიროებს ყველა მესაკუთრის თანხმობას.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.